ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 262

17 აგვისტო
"___" _____ 2018 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, კაკაბაძეების ქ. №2-ის მიმდებარედ არსებული 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.15.05.003.086) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯი და ჯი ქოოფერეიშენისთვის" (ს/ნ: 204554874) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ძმები კაკაბაძეების ქ. №2-ის მიმდებარედ არსებული 11 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.15.05.003.086) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯი და ჯი ქოოფერეიშენისთვის" (ს/კ 204554874) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის **2018 წლის 8 აგვისტოს №18.628.946** განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, **ძმები** კაკაბაძეების ქ. №2-ის მიმდებარედ არსებული 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.15.05.003.086) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯი და ჯი ქოოფერეიშენისთვის" (ს/ნ: 204554874) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1600 (ათას ექვსასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**